დღეს — ყველანი არჩევნებზე!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 ივნისი კვირა 1970 წასი 2 ქაა.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 138 (14742)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ხმა მისცეს კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. დარწმუნებული ვართ, რომ ამომრჩევლები გამოუცხადებენ მათ სრულ ნდობას და ჩვენ კვლავ გვექნება ქვეყნის ნამდვილად სახალხო, ფართო წარმომადგენლობითი და შრომისუნარიანი უმაღლესი საბჭო.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან ამომრჩევლებთან შეხვედრაზე.

დიდი მოვალეობა

ღეს არჩევნებია — საბჭოთა დემოკრატიის კიდევ ერთი ნათელი და ბეშმარიტი ზეიმი. მშვენიერი და ხალისიანი ზაფხულის ამ კვირაღღეს მილიონობით მშრომელი ულევ ნაკადად გაემართება საარჩევნო უბნებისაკენ, ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქენი — კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა — თავიანთი სამშობლოსათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით საარჩევნო ყუთებში ჩაუშვებენ ბიულეტენებს, რომლებზეც მათი რჩეულების, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატთა სახელებია აღბეჭდილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება ყოველთვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ამიტომ მისთვის როგორც დიდი სახალხო დღესასწაულისათვის, ახლაც გაცხოველებით ემზადებოდა მთელი ჩვენი ქვეყანა. ამ მზადებას კი განსაკუთრებული ელფერი დაჰკრავდა, განსაკუთრებული ლაზათი ჰქონდა, რადგან იგი დაემთხვა დიადი თარიღების — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავის აღნიშვნას. ადამიანთა შრომითმა და პოლიტიკურმა აქტივობამ ფართოდ გაშალა ფრთები, მთელი ძალით გამოჩნდა მათი ინიციატივა და თაოსნობა.

დღეს არჩევნებია... ამ დღეს მიუძღვნეს ახალ-ახალი შრომითი საჩუქრები მეტალურგებმა და მშენებლებმა, მაღაროელებმა და ქიმიკოსებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა, მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწეებმა, ფუნჯისა თუ საჭრეთლის ოსტატებმა. — 14 ივნისისათვის ნახევარი წლის გეგმები შეასრულეთ, იტყობინებიან ბევრი საწარმოს კოლექტივებიდან; — პირველი განალეწი — მარცვეული — სამშობლოს! — გაისმის პატაკი ალაზნის ველიდან. და საითკენაც უნდა გაიხედოთ, ყველგან ჩანს დიდი შემართება და გულმოდგინება, რომ უფრო მეტი წარმატებები მოვიპოვოთ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის გზაზე, რომ ვადამდე და გადაჭარბებით გავანაღდოთ ხუთწლედის ყველა დავალება.

დღეს არჩევნებია — მთელ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული არჩევნები. საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიზმი მშრომელთა ძირეულ ინტერესებს იცავს, მათი ცხოვრების შემდგომ გაუმჯობესებას ემსახურება. ჩვენი დემოკრატია, რომელიც მთლიანად განსხვავდება ბურჟუაზიული სამყაროს მოჩვენებითი დემოკრატიისაგან, მშრომელებს აძლევს ყველა უფლებასა და თავისუფლებას ასეთი დემოკრატიის აყვავებისათვის, ასეთი საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცებისათვის საბჭოთა ადამიანები თავდადებით შრომობენ და სიხარულით აძლევენ ხმას სახელმწიფო ორგანოებში ასარჩევ საუკეთესო ადამიანებს.

დღეს არჩევნებია... და კვლავ სულ უფრო ხმამაღლა ვიმეორებთ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვის შესანიშნავ სიტყვებს:

„ამხანაგო ამომრჩევლებო! ხმა მივცეთ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, კომუნისტთა და უპარტიოთა შრომეთი ბლოკის კანდიდატებს — ეს ნიშნავს ხმა მივცეთ სოციალიზმის დიადი პრინციპის თანმიმდევრულად განხორციელებას — „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“!

დიახ, საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ კომუნისტური პარტია მათი ბრძენი წინამძღოლია. იგი მტკიცედ მიდის ლენინური კურსით, დგას მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე. პარტია და ხალხი ერთიანია, მათი უმაღლესი მიზანია საბჭოთა სამშობლოს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება, თვითეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის ამაღლება.

სწორედ ამიტომ — ვისაც სურს ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელი განვითარება, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აყვავება, ვისაც სურს მუდამ იყოს მშვიდობა და ბედნიერება, — იგი უყოყმანოდ და კმაყოფილებით მისცემს ხმას კომუნისტთა პარტიის პოლიტიკას, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

დაე დღევანდელ დღეს, ბევრისმომსწრე და ბევრისმოქმედი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამ ნათელ და მშვენიერ დღეს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს საბჭოთა ადამიანების ერთსულოვნება, მთელი ძალით იჩინოს თავი საბჭოთა დემოკრატიის ჰეშმარიტმა ზეიმმა.

ყველანი არჩევნებზე, ძმირწასო ამხანაგებო!

ჩვენი ლაჟვარდოვანების ბედნიერებისათვის!

ფოტოპლაკატი ვლ. გინზბურგისა და ს. კილაძისა.

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია გაიხსნება 1970 წლის 17 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1970 წლის 17 ივნისს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საყურადღებოდ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 15-16 ივნისს 9 საათიდან 20 საათამდე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახები 1 და 4, ტელეფონები 99-08-59, 99-58-19.

ღირსეულად შევხვდეთ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს

50

მოვიპოვოთ ახალი შრომითი გამარჯვებანი საბჭოეთის სასახელოდ

გორის რაიონის მშრომელთა მიმართვა საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! ქართველი ხალხი მალე შეეგებება დიდ დღესასწაულს — 1971 წლის 25 თებერვალს 50 წელი უსრულდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და 50 წლისა ხდება საქართველოს კომუნისტური პარტია.

რესპუბლიკის ნახევარი საუკუნის იუბილესათვის მზადება მიმდინარეობს ღისშესანიშნავ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, მომზე სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს ვლადიმერ ილიჩ ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ვ. ი. ლენინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია საქართველოს მშრომელთა გმირული რევოლუციური ბრძოლა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, ჩვენი მხარის ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავებისათვის.

საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში საქართველო 50 წლის მანძილზე გადაქცა რესპუბლიკად, რომელსაც აქვს განვითარებული მრეწველობა, მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობა და მაღალი კულტურა. ეს არის ჩვენი რესპუბლიკის გმირი მუშათა კლასის, მამაცი კოლმეურნე გლეხობისა და ნიჭიერი ინტელიგენციის თავდადებული შრომისა და მეცადინეობის შედეგი. საბჭოთა საქართველოს დროშაზე ბრწყინავს ორი ლენინის ორდენი.

ახლა მთელ ჩვენს რესპუბლიკაში გაიშალა საყოველთაო-სახალხო მზადება საბჭოთა საქართველოს იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის. თვითეული ქალაქი და რაიონი, მეურნეობათა და დწუსებულებათა კოლექტივები, ყველა ადამიანი ამ დღეებში ეკითხება თავის თავს: რას აკეთებ, რით უნდა შეხვდე შენი რესპუბლიკის ნახევარი საუკუნის იუბილეს?

ფართოდ ვზიარებთ იუბილესათვის გორის რაიონის ჩვენი აზრით, ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულის საუკეთესოდ აღნიშვნა იქნება საბეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმების, პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელება.

ვალდებულებანი, რომლებიც ჩვენი რაიონის მშრომელებმა იკისრეს გ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, წარმატებით შესრულდა. 1969 წელი დამთავრდა კარგი მაჩვენებლებით რაიონის საეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

განსაკუთრებით ვცდილობთ განვავითაროთ ძირითადი დარგი — მეხბილეობა. დაუცხრომლად ვებრძვით წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, შრომის ორგანიზაციის ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. შარშან რაიონს გეგმით უნდა მოეყვანა და სახელმწიფოსათვის მიეყიდა 23.065 ტონა ხილი, ფაქტიურად კი სახელმწიფოს მიეყიდეთ 26.873 ტონა.

ამასთან ერთად ვცდილობთ მაღალი მაჩვენებლები გვქონდეს სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების — მარცვლეულის, მაქრის ჭარხლის მოყვანისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეშიც. ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე გეგმის გადამეტებით დაეამზადეთ 21 ათას ტონამდე მაქრის ჭარხალი. გადაჭარბებით შესრულებულია სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძნის მოსავლიანობა.

ამ ბოლო დროს დიდი მუშაობა გაიშალა პიონერული ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, მყარი ნაკვები ბაზის შექმნისა და სამრეწველო სათესძველზე მეფრინველეობის განვითარებისათვის. შარშან გეგმით გათვალისწინებული 1.094 ტონის ნაცვლად

(დასასრული მე-3 გვერდზე).





საბჭოთა დემოკრატიის ზეიმი

ქი რაც ვაძლევთ ხმას

ჩვენ, ამ წერილის ავტორებს, რუსთაველში მუშაობისა და ცხოვრების იმდენი წლის სტაჟი გვაქვს, რამდენი წლისაც თვით ეს ქალაქია. რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ინდუსტრიული ცენტრი ჩვენს თვალწინ აშენდა. ჩვენ და ჩვენი თაობის წარმომადგენლები ვიყავით მოწმენი რუსთავში პირველი ეშელონების ღრსვლისა, რომლებსაც მეტალურგიული ქარხნის მოწყობილობა ჩამოჰქონდათ. ჩვენი გვარები ჩაიწერა მუშათა ბელფასის პირველ უწყისებში, ჩვენ შევქმენით რუსთავში პირველი ოჯახები, გამოვაღწიეთ პირველი ქართული თოჯი, ფოლადი.

და მაინც თითქოს არა გვჯერა, რომ ახე მოკლე მანძილზე აშენდა ქალაქი, რომლის მოსახლეობა ახლა ასი ათას კაცს აღწევს.

რუსთავში მრავალი მსხვილი სანგრამოა. აქაურ მინერალურ ნასუქებს, კაპროლაქტამს, ბელოვნური ბოჭკოს ძაფს, ცემენტს, ხიდურამწეებს, საშინ მასალებს დღეს ბევრგან იღებენ. მაგრამ ყოველივე ეს არ იქნებოდა, რომ არ არსებობდეს მეტალურგიული ქარხანა. ჩვენი პროდუქცია ამჟამად იგზავნება მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში.

ჩვენი შვილების აღზრდას ემსახურება 24 საშუალო სკოლა, 8 საბავშვო ბაღი და ბაგა, ქიმიური და მეტალურგიული ტექნიკუმი, ოთხი პროფტექნიკური სასწავლებელი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს დაწყებული ფაკულტეტი, მუსიკალური სკოლები და სახწავლებელი.

სამაყოა ის, რომ ბევრი ჩვენი თანამოსაქმე არჩეულია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებად.

ერთ-ერთი ჩვენი თანამოსაქმე — მ. სპანდერაშვილი ამჟამად წამოყენებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ლამაზია ჩვენი ქალაქი... მაგრამ ჯერ კიდევ უფრო დამშვენდება იგი ახლო მომავალში — ფართო ქუჩებით, პროსპექტებით, მაღალსართულიანი სახლებით. მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფისათვის აიგება 400 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 15 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 25 საბავშვო ბაგა და ბაღი, გაფართოვდება ქალაქის წყალმომარაგების, კანალიზაციის, გაზიფიკაციის, ელექტრიფიკაციის ქსელი. მშრომელთა სამსახურში ჩადგება ავრეთვე ხრამ-რუსთავის წყალსადენის მეორე რიგი, რომლის შემდეგ მთლიანად დაკმაყოფილდება ჩვენი ქალაქის მოთხოვნილება სასმელ წყალზე.

საბინაო და კომუნალური ობიექტების მშენებლობის ზრდასთან ერთად გათვალისწინებულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ქსელის გაფართოება. აშენდება სამი კინოთეატრი, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, საკოლმეურნეო ბაზარი, თეატრის ახალი შენობა.

უახლოეს ხანში უნდა გაფართოვდეს აგრეთვე სავაჭრო ქსელი. აშენდება საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოები, სამრეწველო და სასურსათო მაღაზიები, სახანგრძობო მეურნეობები, მაცივრები.

ახლო მომავალში ჩვენთვის, მეტალურგებისათვის, აშენდება აგარაკი აიღლუჯის მთაზე. რუსთავსა და ამ მთას ერთმანეთთან დააკავშირებს სამგორის გზა. აიღლუჯის აგარაკი საუკეთესო კერა იქნება ჩვენი მეტალურგების გაჯანსაღებისათვის.

დღეს, ვაძლევთ რა ხმას ჩვენს დეპუტატობის კანდიდატს, გვჯერა, რომ ამით ხმას ვაძლევთ ჩვენს ნათელ მომავალს, ბედნიერებას, მშრომელთა კეთილდღეობას.

ზ. უაველაშვილი,
გ. გერიკაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეები.

ერთსულოვნად რომ მისცემთ ხმას არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამით ხმას მისცემთ იმას, რომ ჩვენი მრეწველობა კვლავაც სწრაფი ტემპებით ვითარდებოდეს თანამედროვე მეცნიერულ - ტექნიკურ საფუძველზე...

სკკპ ც.კ-ის პლენუმიდან

ხმას მისცემთ რა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, თქვენ, ამხანაგო ამომრჩევლებო, ხმას მისცემთ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომ აყვავებას!

სკკპ ც.კ-ის პლენუმიდან

მუშური სიტყვა

სოფლად ფიქრით

წინა არჩევნებიდან დღემდე გავლილ ოთხ წელიწადში ჩვენს სოფელში, რაიონში ბევრი რამ გაკეთდა, ბევრიც კეთდება. რაიონში არ არსებობს ისეთი სოფელი, სადაც მშრომელთა სასიკეთოდ ბევრი რამ არ კეთდებოდეს.

ავიღოთ თუნდაც ძველი ანგაგა. ჩვენი სოფელი არც რაიონში, არც რესპუბლიკაში არავის არ ჩამოუვარდება კულტურის სახლით, კოლმეურნეთა კეთილმოწყობილი სახლები, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებანი, ჯანმრთელობის დაცვის კერები. ახლანდელ ჩვენს სოფელს, მშრომელებს რომ ვაკვირდებით და ვადარებ არც თუ ისე დიდი ხნის წარსულს, მიხარია: მიხარია, რომ ერთ დროს ჩამორჩენილი, ვიწროპროფილებიანი და ჭირმახებიანი ძველი ანგაგა თანამედროვე სოციალისტური სოფელი გახდა.

ჩვენი სოფლის მაგალითი ერთეული როდია. სიღნაღის რაიონის ყველა სოფელი კეთილმოწყობილია, მაგრამ ის, რაც ამ უკანასკნელ ოთხ წელიწადში სოფლებში გაკეთდა, უცხო კაცმა შეიძლება არც დაიჯეროს. თითქმის ყველგან აშენდა ახალი სკოლა (ზოგან ახლა შენდება), ზოგიერთ-ში ახალი საბავშვო ბაღი, ბიბლიოთეკა, ამბულატორია, ფელდშერ-მეანის პუნქტი. ყველა სოფელში ელექტრონათურებია შეყვანილი, ბევრგან ტელეფონიც. ბევრ სოფელში ასფალტის საფარია გაკეთებული, ბევრგან ქვაფენილი. ბევრ სოფელში ახალი სასაფლაოა გაკეთებული, ბევრგან ახალი ხიდი გადებული.

ამ გრძნობით ვაძლევ ხმას არჩევნებში ხალხის საყვარელ კანდიდატებს, ჩვენს რჩეულებს.

ი. ბეგიაშვილი.
ხიდისხალის რაიონის ძველი ანგაგის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები. მარცხნიდან — მანანა სართანია, ციცინო კარგარეთელი, ია ჟღენტი, მერი გაჩეჩილაძე, მომოზა შეავია, ეთერ ჩხიკვაძე და ლილი საყვარელიძე. ისინი წელს პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

პირველად ცხოვრებაში

ჩემი გულისთქმა

დღეს მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

ეს დღე განსაკუთრებით სასიხარულოა ჩემთვის, რადგან წელს არჩევნებში პირველად ვმონაწილეობ. არჩევნებში მონაწილეობა ადამიანს უფრო მეტ რწმენას და თვითშეგნებას მატებს. უფრო ორგანიზებულს ხდის სწავლასა და შრომაში. ეს იმიტომ, რომ იცი — ახლა საბჭოთა ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე ხარ, უფლება გაძლევს შენი შეხედულებისამებრ საბჭოთა პარლამენტში ხმა მისცე საუკეთესოთა შორის საუკეთესოს.

რამდენი ჩემი ტოლი განიცდის დღეს ამ დიდ სიხარულს. იმათთან ერთად მეც მინდა ჩემი ხმა შევუერთო ჭაბუკებისა და ქალწულების გულისთქმას.

მ. ტყეშელაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი.

ვასტანგ გორგანელი

რჩეული

ვუძღვნი უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს

იცი ვაჟკაცის წონა და ფასი,
გულს რა უნათებს და რისთვის იწვის,
რატომ აავსო პირამდის თასი
და თქვა დიდება მშობელი მიწის.
იცი, მთებიდან გადმოსულ იორს
სამგორში რატომ მოეჩქარება,
ან რად ჩერდება ფრთამაღი სიო
დედა-თბილისის ღია კარებთან.
იცი, მაისის წვიმა და ქარი
რატომ აღვიძებს მიწაში ფესვებს
და ღონიერად დაკრული ბარი
როგორ მოსავალს ჰპირდება მთესველს.
იცი, სიამე მარადი ძებნის
საითკენ უხმობს მომკელს და მეხრეს,
დახვავებული თავთუხის ძნები
რა სიხარულით აავსებს ბეღელს.
იცი, რა თრთოლვა უვლის და ახლავს
კვირტის პირველად თვალის გახელას,
და ამიტომაც მშობელმა ხალხმა
თავის რჩეულად დაგასახელა.
დაგასახელა და მკლავებს გიწვდის
შუქურვარსკვლავი იმედის, რწმენის,
დაგასახელა, რადგან შენ იცი.
სიხარულიც და ტკივილიც ჩვენი.
გახსოვდეს ეს მზე, ეს ცა კრიალა,
დღე-მიმწიდველი ანდამატივით,
შენ აგირჩია ხალხის ტრფიალმა
და ხალხის ტრფობას ეცი პატივი.
პატივი ეცი ამ წყალს, ამ მიწას,
მისი სიკეთის ჩარაღდნით გეკლოს...
და შენ ყოველთვის მიაღწევ მიზანს.
და შენ ყოველთვის გაიტან ლელოს.
სურვილის მტრედი ფრთებს მახლის გულზე,
ამოაქვს მაღლა იების ნატვრა
და საარჩევნო შრიალა ფურცელს
დედა-სამშობლოს დიდებით ვხატავ.

ჭეშმარიტი და მოჩვენებითი დემოკრატია

რა არის დემოკრატია? ეს ბერძნული წარმოშობის კომპოზიტია, შედგენილი სიტყვაა. ბერძნულად დემოსი— ხალხს ნიშნავს, კრატოსი ძალას, ხელისუფლებას. ძველ ბერძნებს დემოკრატია ესმოდათ როგორც ხალხის ხელისუფლება, ხალხის პოლიტიკური ძალის განხორციელება.

ასეთია პოლიტიკურ ლექსიკონში მეტად გავრცელებული და პოპულარული სიტყვის პირდაპირი, ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. მაგრამ ამ სიტყვის, ცნების ჭეშმარიტი არსი რომ გავიგოთ, საჭიროა ჩაეუკვირდეთ სად, რა პირობებში, რა მიზნით ხმარობენ მას.

ხალხი მრავალის, ბევრის მომცველი ცნებაა. ხალხი რთული სტრუქტურაა. ანტაგონისტური კლასებისაგან შემდგარ საზოგადოებაში ხალხი სხვადასხვა სოციალური ფენისაგან, ჯგუფებისაგან შედგება. ხალხის ცნებაში მდიდრებიც შედიან და ღარიბებიც, განათლებულნიც და უწიგნურნიც, ძველათ რომ ატყოდნენ — „მაღალი“ და „დაბალი“ ფენები.

სხვათა შორის, ანტიკური ხანის დიდი მოაზროვნე, ფილოსოფოსი არისტოტელე მონებს ხალხის ნაწილად არ თვლიდა. მონებს ის პირუტყვებს მიაკუთვნებდა. იმ დროს ეს მოარული აზრი იყო, თუმცა მონები იქაური მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ. სხვა საკითხია, რომ მონები სხვა აზრისა იყვნენ. ვინ არ იცის, მაგალითად, მათი აჯანყება სპარტაკის მეთაურობით.

ხალხის ჭეშმარიტი ხელისუფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის ბრძოლებით მოიპოვებს სოციალურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ, ეროვნულ თავისუფლებას.

აი ამ მომენტიდან მშრომელი მასები იწყებენ ჭეშმარიტ, დამოუკიდებელ ისტორიულ შემოქმედებას. ისტორიის ობიექტიდან ისინი ისტორიის სუბიექტი ხდებიან.

რევოლუციაა ის უნივერსიტეტი, სადაც ხალხი იძენს პოლიტიკური ბრძოლების უმაღლეს განსაცდელს. ბრძოლებისაგან მშრომელებს იხსომებს მათი ძირეული ინტერესის გამომხატველი პოლიტიკური ძალა — კომუნისტური პარტია.

სასაცილოდ ქცერს ემიგრანტის, დასავლეთში პოპულარული ფილოსოფოსის ნიკოლაი ბერდიაევის მტკიცებანი, თითქოს ბოლშევიკებმა რუსეთში ხელისუფლება უსწრაფესი წესით ჩაიგდეს ხელში. ეს მტკნარი სიცრუეა იმიტომაც, რომ რუსეთის მშრომელებს არჩევანის შესაძლებლობა და საშუალება ჰქონდათ. ოქტომბრის დღეებისათვის რუსეთში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობდა, მათგან ერთი, ორი მშრომელთა ინტერესების დამცველად ასაღებდა თავს.

ეს პარტიები გაკოტრდნენ, ხალხმა მათ ზურგი შეაქცია. ნათელი ისტორიული პერსპექტივა მშრომელებს მხოლოდ ლენინის პარტიამ დაუსახა. ამიტომ ანდო ხალხმა მას თავისი ბედი და ხვედრი. ამ ჭეშმარიტად დიდი დემოკრატიული ხასიათის აქტით გამომჟღავნა ხალხმა თავისი ნებასურვილი. პირველად კაცობრიობის ისტორიაში ოქტომბრის დღეებში განხორციელდა ხალხის დემოკრატიული, სუვერენული უფლებები.

ამ ჭეშმარიტად დიდი დემოკრატიული ხასიათის ბუნებრივი გაგრძელება იყო ის, რომ ლენინის პარტიამ ხალხს ხელისუფლების ფორმა, ხალხის შემოქმედების საყოფი იყო. ლენინმა ხალხის ამ იდეას ფრთები შეასხა, საბჭოებში დაინახა მან მშრომელთა ფართო მასების ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

ისტორიამ ცხადყო, რომ საბჭოები ხელისუფლების ის ფორმაა, სადაც ყველაზე კარგად ხორციელდება ჭეშმარიტი დემოკრატია.

ყველგან, ყოველთვის ხელისუფლების გარკვეული ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები ახორციელებენ. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში. გაბატონებულ, შეძლებულ კლასების ხალხის გაბრუების, მოტყუების დიდი გამოცდილება აქვთ.

საუკუნეების მანძილზე ამ მიზნის განსახორციელებლად იქ შეიქმნა კარგად მოქმედი რთული სოციალური მექანიზმი. სოციალური დემაგოგიაც— ადამიანის ინსტინქტებზე ზემოქმედების სხვადასხვა საშუალება გარკვეულ დრომდე ცუდად როდი ემსახურება ექსპლოატატორთა კლასობრივ ინტერესს.

18 ივნისს ინგლისში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. საარჩევნო კამპანიას ახლა ყური რომ უგდო, გაოგნებული დარჩები. ეს საარჩევნო კამპანია კარგი რეკლამის სპექტაკლს ჰგავს. ლეიბორისტები ვაშმაგებით ებრძვიან თავიანთ მთავარ კონკურენტებს — კონსერვატორებს. - არც კონსერვატორები რჩებიან ვალში, ორივე იორინულად შესცქერის ახლა უკვე სრულიად უნიათო ლიბერალურ პარტიას.

პოლიტიკური ბრძოლების ველზე ბუკისა და ნაღარის ხმა ისმის, ის ერთი წუთითაც არ წყდება. ამ სპექტაკლის კულისებს იქით კი სხვა ვითარებაა. მთავარ, გადამწყვეტ საკითხებში თავისი ამბიციები აქვს, არც ანგარების დავიწყება შეიძლება.

საპარლამენტო არჩევნების დროს პოლიტიკური პარტიები ფართოდ იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს — ტელევიზიას, რადიოს, კინოს, მასობრივი ხასიათის ლიტერატურას, ბრომურებს. ეს საშუალებანი ძლიერი პოლიტიკური ნარკოტიკია. კონსერვატორები, ლეიბორისტები, ლიბერალები ფაქტიურად უსაზღვროდ სარგებლობენ ამ საშუალებებით. ფორმალურად კომუნისტებსაც აქვთ უფლება ისარგებლონ ტელევიზიით, რადიოთი. ამ მიზნისათვის მათ დაუთმეს მხოლოდ 5 წუთი! აი იქაური დემოკრატიის ფასი და ჭეშმარიტება!

კონსერვატორები საარჩევნო კამპანიისათვის 2,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს ხარჯავენ. ეს ჯენტლმენთა თანხაა. ამ თანხას მათ ბობოლა კაპიტალისტური მონოპოლიები აძლევენ.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში არც ერთი მუშა, არც ერთი გლეხი, ფერმერი არ არის არჩეული.

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობაში ზანგების რაოდენობა 20 პროცენტს აღწევს, დაახლოებით 20 მილიონს. სენატში და წარმომადგენელთა პალატაში ხანდახან თუ გამოჩნდება ერთი-ორი ზანგი და ისიც შეძლებული ფენის წარმომადგენელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VIII მოწვევის დეპუტატობის კანდიდატებს შორის საქართველოდან დასახელებული 74 კაციდან 18 წარმოების მუშაა, 15 კოლმეურნე, 8 მეცნიერი და შემოქმედებითი მუშაკია.

დასავლეთის არც ერთ სახელმწიფოს წარმომადგენლობითის დაწესებულებაში ვერ ნახავთ ასეთ სურათს.

საბჭოთა პარლამენტი პოლიტიკათა მჭევრმეტყველებაში ვარჯიშის ასპარეზი როდია.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო საქმიანი წარმომადგენლობითი ორგანოა, სადაც წყდება ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები, რომელნიც მოიცავენ ხალხის ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ ინტერესს.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო ახორციელებს ხალხის ხელისუფლებას, ის მოქმედებს გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის საფუძველზე. ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციის დარღვევის უფლება არავის არა აქვს.

სხვანაირად ესმით კონსტიტუციის ხელშეუვალობა, მისი დარღვევა, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში. იმ ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყება, ომის გამოცხადება კონგრესის პრეროგატივაა.

როგორია იქაური პრაქტიკა?

კონგრესს კი არა, თავისი მთავრობის წევრებსაც კი არ ჰკითხა პრეზიდენტმა, კამბოჯას რომ შეესია, ამ ნეიტრალური სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი რომ დაიწყო.

ეს ასეთ გამოუსწორებელ იქაური შინაურობაჟი „დემოკრატია“. დასავლეთში მოქმედებს არა ჭეშმარიტი, არამედ გოგანენაიტი, ყალბი დემოკრატია, რომლის ნამდვილ არსებას მირაჟებით დემაგოგია ვმარ შენიღბავს.

ვლ. მაჭავარიანი.

14 ივნისი მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეა

მსუბუქი ინდუსტრია

მ. ჩხეიძე.
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი.

□

საუკუნეზე საწარმო შედის საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში. ბრეშუმის, ხალის, ბამბეულის, ტრიკოტაჟის, საგალანტერიო, სამკერვალო, ტყავისა და ფეხსაცმლის ფაბრიკების კოლექტივების მრავალათასიანი არმია ჩვენი ქვეყნის მსუბუქი ინდუსტრიის ფრონტზე მომუშავე ყველა მშრომელთან ერთად ღირსეულად ხვდება თავის დღესასწაულს. უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ამ დღეს შეჯამდეს გასული მუშაობის შედეგები, სამშობლოს ვუპატაკოთ საწარმოო მიღწევები, ვიმსჯელოთ მომავალ პერსპექტივებზე. ეს ძალიან კარგია, რადგან სადღესასწაულოდ წარმატებებზე საუბართან ერთად ჩვენი საწარმოების კოლექტივები ფხიზელი თვალით ამოწმებენ ნაკლოვანებებს, კონტროლს უწევენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მსვლელობას, კისრულობენ ახალ გაზრდილ ვალდებულებებს.

ამ მხრივ არც მიმდინარე წლის პირველი კვარტალი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალიზებულია 19,5 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია, ე. ი. ზრდის ტემპი 12,6 პროცენტია. ეს შემთხვევითი ფაქტი როდია. საქართველოს მსუბუქი ინდუსტრია თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად ვითარდებოდა მიმდინარე ხუთწლედში, მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის სწრაფი ტემპით იზრდებოდა სამალხ. შრომის ნაყოფიერების ზრდამ 8,3 პროცენტი შეადგინა.

კარგად დაგამთავრეთ მიმდინარე წლის პირველი კვარტალი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალიზებულია 19,5 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია, ე. ი. ზრდის ტემპი 12,6 პროცენტია. ეს შემთხვევითი ფაქტი როდია. საქართველოს მსუბუქი ინდუსტრია თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად ვითარდებოდა მიმდინარე ხუთწლედში, მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის სწრაფი ტემპით იზრდებოდა სამალხ. შრომის ნაყოფიერების ზრდამ 8,3 პროცენტი შეადგინა.

კარგად დაგამთავრეთ მიმდინარე წლის პირველი კვარტალი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალიზებულია 19,5 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია, ე. ი. ზრდის ტემპი 12,6 პროცენტია. ეს შემთხვევითი ფაქტი როდია. საქართველოს მსუბუქი ინდუსტრია თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად ვითარდებოდა მიმდინარე ხუთწლედში, მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის სწრაფი ტემპით იზრდებოდა სამალხ. შრომის ნაყოფიერების ზრდამ 8,3 პროცენტი შეადგინა.

კარგად დაგამთავრეთ მიმდინარე წლის პირველი კვარტალი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალიზებულია 19,5 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია, ე. ი. ზრდის ტემპი 12,6 პროცენტია. ეს შემთხვევითი ფაქტი როდია. საქართველოს მსუბუქი ინდუსტრია თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად ვითარდებოდა მიმდინარე ხუთწლედში, მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის სწრაფი ტემპით იზრდებოდა სამალხ. შრომის ნაყოფიერების ზრდამ 8,3 პროცენტი შეადგინა.

დღესასწაულოგენ მსუბუქი ინდუსტრიის მუშაკებს

12 ივნისს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრის შენობაში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღეს.

დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, წარმოების მოწინავეები.

საზეიმო სხდომა გახსნა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ღავთაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ზ. ფაქიძემ.

სხდომას დაესწრო საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. კუნჭაძე. (საქრონ.).

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საგრეხსახვევი საამქროს მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც კლარა ომანაძე ხელმძღვანელობს, უკვე წარმატებით შეასრულა ხუთწლედის დავალება და სამშობლოს მისცა 717 ტონა ზედმეთი ნართი. სურათზე: კ. ომანაძე (მარცხნიდან მესამე) და მისი ბრიგადის წევრები ზ. გრიგოლავა, თ. პაპურაშვილი, ფ. ბეკაური, გ. ყიდარხინია, ნ. გოგოხოვა და ლ. ხაპოტა.

ფოტო ს. კილაძისა.

მოვიპოვოთ ახალი შრომითი გამარჯვებანი

საშუალო სასახელოდ

50

ქართული საბჭოთა

(დასასრული)

სახელმწიფოს მივყიდეთ 1.197 ტონა ხორცი, 2.988 ტონის ნაცვლად — 3.884 ტონა რძე.

წარმატებით სრულდება საინვესტიციო წლის ვალდებულებანი. 1970 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მივყიდეთ 272 ტონა ხორცი, 300 ათასი ცალი კვერცხი. გადაჭარბებით შეგასრულეთ რძის დამზადების გეგმა.

კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ცალკეულმა მეურნეობებმა, მათ შორის სოფლების ახალუბნის, ტყვავის, ზერტის, ნიქოზის, ფლავის კოლმეურნეობებმა, ჭიწნისის სახკოოპერაციის მეურნეობამ. ტყვავის ხეხილის სახელმწიფო სანერგემ, სკრის მეხილეობის საცდელმა სადგურმა, ხელთუბნის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკამ, ტანისხიდის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშთასწენება საბჭოთა მეურნეობამ, ღორის საკოლმეურნეობათაშორისო სასუქებელმა პუნქტმა და სხვ. მავალითად. სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობამ ბოსტნეულის დამზადების 1969 წლის გეგმა შეასრულა 150 პროცენტით, სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვისა — 131 პროცენტით, ხოლო რძისა — 146,4 პროცენტით. სოფელ ტყვავის ლადო კვაცხოველის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 327 ტონის ნაცვლად მოიყვანა 496 ტონა თესლოვანი ხილი. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შეასრულა 131,6 პროცენტით, რძისა კი — 136,9 პროცენტით. ქიწნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 1.427 ტონა თესლოვანი ხილი გეგმით გათვალისწინებული 1.398 ტონის ნაცვლად.

ენერგიული ძლიერება საზოგადოებრივ მეურნეობათა ტექნიკური აღჭურვილობა. შეიქმნა სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვისა და წარმოების უფრო ძვირადი ნაკეთობების ზრდის ყველა პირობა.

სულ უფრო ვითარდება გორის რაიონის მრეწველობა, ფართოვდება სკოლების, კულტურულ-საყანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი. მწყობრში დგება საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ობიექტები, მიმდინარეობს სოფლების კეთილმოწყობა.

საგულდაგულოდ შევისწავლეთ ჩვენი შესაძლებლობანი, გამოვავლინეთ რეზერვები და გადავსინჯეთ წინათ ნაკისრი ვალდებულებანი.

„სოციალიზმის შემოქმედებითი ძალა, ლენინური იდეების მამობილიზებელი ძალა მკაფიოდ გამოვლინდა ლენინის იუბილეისათვის მზადების დღეებში, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე 1970 წლის 21 აპრილს.— **ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის შეკიბრება, რომელიც ლენინური წლის აღსანიშნავად დაიწყო, ჩვენში ნამდვილად საერთო-სახალხო შეჯიბრებად გადაიქცა".**

ჩვენ კარგად გვესმის ამ სტატუების ღრმა აზრი და მნიშვნელობა და გადაჭუდებით გახვიგრძოთ ლენინური შრომითი ვახტი, გავმალოთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი ფართოდ დაუჭერს მხარს ჩვენს მოწოდებას — 5 წლის დამლევამდე გავაგრძოთ ლენინური შრომითი ვახტი, გადაჭარბებით შევასრულოთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საგეგმო დავალებანი და ღირსეულად შევხვდეთ 1971 წლის 25 თებერვალს — საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს.

კესრულობთ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

1970 წელს უზრუნველვყოფთ ბალების მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას და გეგმით გათვალისწინებული 24.600 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდით 31 ათას ტონა სტანდარტულ ხილს, საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანთ 55 ცენტნერ ხარისხოვან ხილს გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერის ნაცვლად. ფართოდ განვავითარებთ პალმეტურ მეხილეობას. წელს ამ მიზნით გავაშენებთ 100 ჰექტარ ხეხილის ბაღებს.

განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდებით სარწყავ მიწათმოქმედებას და წყლის რაციონალურად გამოყენებას. გავზრდით მოქცევლიულის წარმოებას და სახელმწიფოსათვის მივიდვას.

გავზრდით შაქრის ჭარხლის მოსავლიანობას და საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანთ 460 ცენტნერ შაქრის ჭარხალს გეგმით გათვალისწინებული 400 ცენტნერის ნაცვლად. წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მივყიდით 5 ათას ტონა შაქრის ჭარხალს.

წელს მშრომელთა სამსახურში ჩავაყენებთ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის სახელობის საკოლმეურნეობათაშორისო სასათბურო მეურნეობას და ამით კიდევ უფრო გავზრდით ბოსტნეულის წარმოებას. **სახელმწიფოს მივყიდით 14.000 ტონა ბოსტნეულს გეგმით გათვალისწინებული 10.859 ტონის ნაცვლად.**

1970 წელს სახელმწიფოს მივყიდით 2.000 ტონა ხორცს გეგმით გათვალისწინებული 1.130 ტონის ნაცვლად. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების 1971 წლის პირველი კვარტალის გეგმას შევასრულებთ 25 თებერვლისათვის. ამ ვალდებულების შესახორციელებლად გავაუქეთ და სახელმწიფოს მივყიდით 10.000 ღორს, ამასთან თვითეული ღორის წონა სულ ცოტა 80 კილოგრამი იქნება. რაიონის მოსახლეობაც მიიღებს მონაწილეობას ღორის ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში.

სახელმწიფოს მივყიდით 4.000 ტონა რძეს ნაცვლად 3.200 ტონისა, დავამზადებთ 1.800 ათას ცალ კვერცხს ნაცვლად 1.200 ათასი ცალისა, ყოველ 100 ძროხაზე მივიღებთ და გავზრდით 55 ბზოს მარშან შენარჩუნებული 76 სულის ნაცვლად. წელს საზოგადოებრივ მეურნეობებში გვეყოლება 14.800 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 4.000 ძროხა. საშუალოდ ერთ ძროხაზე მივიღებთ 1.600 კილოგრამ რძეს, გეგმით გათვალისწინებული 1.450 კილოგრამის ნაცვლად.

გადიდებული ვალდებულებანი აკისრის ახრეთვე ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. სოფელ ნიქოზის კოლმეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება აკისრეს თითოეულ ჰექტარის მოკლეობით გეგმით გათვალისწინებული 98000 ჰექტარის ნაცვლად: 3 ქალაქი შეამკიროს თითოეული ჰექტარის დამოშავების თვითღირებულება: დაზოგოს 120 ტონა საწვავ-საპოხი მასალები. გადაწყვიტეს ტრაქტორების შენახვის წლითური გეგმა შეასრულონ 1970 წლის 15 დეკემბრისათვის. მიმდინარე წელს განხორციელდება პირუტყვის ავტომატური დარწყულება და 1.600 სული პირუტყვის ნაცვლის ტრანსპორტირებით გარანა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.400 სულისა. მოდერნიზებულ ფერმაში ვალდებულება აიღეს 30 მექანიზატორმა.

გაუმჯობესებით ზრუნვას სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებებისათვის. დაიმთავრებენ კლუბების მშენებლობას სოფლებში მეორე ათასსა და ათასლებანში.

„საქსოფლტექნიკის" გორის რაიონული სამმართველოს ნებართვით ბ. მილანაშვილის ბრიგადა, გორის მექანიზატორთა სკოლის მოსწავლეთა ბრიგადა, სოფლის ნიქოზის ტყოლმეურნეობის ბრიგადა, სოფლის ნიქოზის კოლმეურნეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის მუშახელი ბ. გილიაშვილი და სხვები.

დიდ მოწამობას გაიჩაღებენ სასოფლო საბჭოები, გაიართოვებენ წყაღსადენთა ქსელი. გაუმჯობესებენ ზრუნვას სოფლებში საზოგადოებრივი და სანიტარული წესრიგის დაცვისათვის.

„საქმთავარნარგაზის" გორის ფილიალის მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ მიიღწიონ იმას, რომ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის რაიონში არც ერთი ბინა არ დარჩეს ფილიალიანი.

მოვუწოდებთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელთ ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს ნი წლისთავის აღსანიშნავად! მივცეთ დედა-სამშობლოს რაც შეიძლება მეტი იაფი სოფლის მეურნეობის პროდუქტები

ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი და ღირსეული შრომითი საჩუქრებით შევხვდეთ ჩვენს შესანიშნავ ეროვნულ დღესასწაულს — საბჭოთა საქართველოს ნი წლისთავს. ეს იქნება ჩვენი ახალი ღირსეული წვლილი კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ზუგდიდის რაიონის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე და დაწესებულებებში გაიმართა მშრომელთა კრებები, რომელთა მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს დამკვრელური შრომით, ახალი წარმატებებით აღნიშნონ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად მშრომელებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი.

გადაწყვეტილია მიმდინარე წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 30.300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1.600 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. აქედან მანქანებით მოკრიფონ 5.990 ტონა ჩაის ფოთოლი.

ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა სახელმწიფოს მიჰყიდოს 2.800 ტონა „მწვანე ოქრო" გეგმით გათვალისწინებული 2.600 ტონის ნაცვლად, აქედან მანქანებით მოკრიფოს 2.010 ტონა ფოთოლი.

ჩაის საკრეფი მანქანების „საქართველოს" მძღოლებმა ს. აფსახავამ, ი. შულაიამ, ჯ. მეუნარაიამ ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ 82-82 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს" მშრომელები გეგმის გადამეტებით ჩააბარებენ სახელმწიფოს 300 ტონა ჩაის ფოთოლს, პლანტაციების მოსავლიანობას ჰექტარზე გაზრდიან 7.000 კილოგრამამდე. ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოთი" აქ მოკრეფენ 300 ტონა ჩაის ფოთოლს. ამ კოლმეურნეობის ბრიგადისთვის მომაგრებულ 18 ჰექტარ პლანტაციაში საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფოს 10 ტონა ფოთოლი გეგმით ჩაბარებულ 7,5 ტონის ნაცვლად.

შ. ფუტკარაძის კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადამ გადაწყვიტა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 22 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

უბე მოსავლის მოიყვანენ გ. ყურაშვილისა და ლ. ნანავას რგოლები, მეჩაიეები ბ. ფარცვანია, შ. ბახტაძე, შ. ფარცვანია, ნ. შენგელია, ვ. ალექსანდრია.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, აგრეთვე ინგირის, ნარაზენის, ჩხორის, კორცხელის, შამგონის კოლმეურნეობათა მშრომელებმა გადაწყვიტეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა შეასრულონ 10 აგვისტოსათვის.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე კახათის, ჭკადუაშის, ორჯონიკიძის, ცაიშის, ჯიხასკარის, ახალუბათის, რიყის კოლმეურნეობების, კოლმეურნეობა „კოლხეთის"; ონარის, ზედა ეწერის, ნარაზენისა და ზეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეებმა.

სიმინდის საერთო მოსავალს გავზრდით 88.460 ცენტნერამდე, რაც გეგმასთან შედარებით 6.000 ცენტნერით მეტია. სიმინდის მოსავლიანობას ჰექტარზე გავზრდით 21 ცენტნერამდე გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერის ნაცვლად და სახელმწიფოს მივყიდით 14.600 ცენტნერ მარცვალს.

სოფელ ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა წელს თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 31 ცენტნერი მარცვალი, ჯიხასკარის კოლმეურნეობამ — 28 ცენტნერი, სოფელ ტყვაის კოლმეურნეობამ — 27 ცენტნერი.

სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანა გადაწყვეტეს აგრეთვე ოქტომბრის, კახათის, ჩხორის, ჭკადუაშის კოლმეურნეობების, კოლმეურნეობა „საქართველოს" და ანაკლიის მერქვეულობა-მეცამეურეობის საბჭოთა მეურნეობის მესიინდეგეებმა.

ყოველი ღონისძიებით განვავითარებთ მეცხოველეობას, დიდ ყურადღებას დავუთმობთ მყარი საკვები ბაზის შექმნას, უფრო ფართოდ დავნერგავთ შორისეული კულტურების თესვას, რათა საზოგადოებრივი პირუტყვი უზრუნველვყოთ მწვანე და წვნიანი საკვებით.

მიმდინარე წელს ვაწარმოებთ 6.280 ცენტნერ ხორცს, 30.000 ცენტნერ რძეს, ყოველ ძროხაზე მივიღებთ 1.300 კილოგრამ რძეს — 150 კილოგრამით მეტს, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. სახელმწიფოს მივყიდით 20.500 ცენტნერ რძეს.

კოლმეურნეთა ოჯახები გაასუქებენ 6.000 ღორს და სახელმწიფოს მიჰყიდიან 4.000 ცენტნერ ხორცს. ჩაის ფაბრიკების, საბჭოთა მეურნეობების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშები და მოსამსახურეები გაასუქებენ 2.000 ღორს და სახელმწიფოს მიჰყიდიან 1.780 ცენტნერ ხორცს. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გადაჭარბებით შეასრულებენ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმას. სულ სახელმწიფოს მივყიდით 16 500 ცენტნერ ხორცს, 6 ათასი ცენტნერით მეტს, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

კიდევ უფრო მაღალი ვალდებულებანი იკისრეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა სახელმწიფოს მიჰყიდოს 1.265 ცენტნერი რძე — 400 ცენტნერით მეტი გეგმასთან შედარებით, 270 ცენტნერი ხორცი — 74 ცენტნერით მეტი. სოფელ ჩხორიის ქედანოვის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა ყოველ ძროხაზე მიიღოს 1.800 კილოგრამი რძე გეგმით გათვალისწინებული 1.300 კილოგრამის ნაცვლად. მეცხოველეებმა კ. კვარაცხელიამ, ვ. ხეჩოვამ და ი. ძიმიკიანმა ვიღმა გადაწყვიტეს თვითეულ ძროხაზე მიიღონ 200 კილოგრამი რძე გეგმის გადამეტებით.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ინგირის, ჭკადუაშის, ოქტომბრის, შამგონის კოლმეურნეობათა მეცხოველეებმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ღვინო გეგმები შეასრულონ 7 ნოემბრისათვის, 1971 წლის პირველი კვარტალის გეგმები — 25 თებერვლისათვის.

გადაჭარბებით შეასრულებთ ყურძნის, კურკოვანი და თესლოვანი ხილის, აბრეშუმის პარკის, ტუნგის ნაყოფის, დაფნის ფოთლისა და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმებს.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ავამაღლებთ მიწათმოქმედების კულტურას, გავზრდით ნიადაგის ნაყოფიერებას. მინდვრებსა და პლანტაციებში შევიტანთ 24 ათას ტონა ორგანულ სასუქს და 29 ათას ტონა მინერალურ სასუქს, მეავე ნიადაგების ნეიტრალიზაციისათვის გამოვიყენებთ 2.240 ტონა კირიან სასუქებს. ხელოვნურ დაწვიმებას მოვაწყობთ ჩაის პლანტაციებში 1.400 ჰექტარ ფართობზე, დავწერგავთ 2.300 ჰექტარზე ჩაის პლანტაციების დამუშავების კომპლექსურ მექანიზაციას. ძლიერ დატენიანებულ ნიადაგებზე მოვაწყობთ ამოსაშრობ სამუშაოებს, ავითვისებთ 500 ჰექტარ ამოშრობილ მიწებს.

სატრაქტორო სანუშაოებს მოვაწყობთ 70 ათას ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 60 ათასი ჰექტარის ნაცვლად.

წყალდიდობის საწინააღმდეგო და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა წლიური გეგმის შეასრულებთ 1 სექტემბრისათვის. სახელმწიფო ამოსაშრობი არხების გაწმენდისა და პიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის წლიურ გეგმას შევასრულებთ 7 ნოემბრისათვის.

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმას მივღებთ 20 დეკემბრისათვის შემდეგ ნაკისრ ვალდებულებებს: საერთო პროდუქციის წამოშვების მოცულობას 4 პროცენტით გავაღიდებთ შარშანდელთან შედარებით. გეგმის გადაჭარბებით 1.500 ათასის მანეთის პროდუქციას.

3 პროცენტით ავამაღლებთ შრომის ნაყოფიერებას. ფართოდ დავნერგავთ შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერულ ორგანიზაციას ყველა საწარმოში.

კვლავაც კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლებთ მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, წარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის, შრომითი და მატერიალური დანახარჯების შემცირებისათვის. ამის საფუძველზე 2 პროცენტით შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას, გეგმის გადაჭარბებით დავზოგავთ 200 ათას მანეთს, აგრეთვე 100 ტონა საწვავს, 90 ათას კილოვატ-საათ ელექტროენერგიას და ბევრ დამხმარე მასალას.

ახალი სეზონისათვის ჩაის ფაბრიკებს მოვამზადებთ 1971 წლის 25 თებერვლისათვის.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიურ გეგმას შევასრულებთ 1970 წლის 20 დეკემბრისათვის. 2,5 პროცენტით შევამცირებთ სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულებას. 14 პროცენტით ავამაღლებთ მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონეს. მკვეთრად გავაუმჯობესებთ სამშენებლო სამუშაოების ხარისხს.

საგზაო-სატრანსპორტო ტრანსპორტით ტვირთბრუნვის გეგმას 25 დეკემბრისათვის შევასრულებთ. მანქანების პარკის გამოყენების კოეფიციენტის გეგმასთან შედარებით გავაღიდებთ 2,5 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერებას — 2 პროცენტით. არ დავუშვებთ საგზაო შემთხვევებს.

რკინიგზის ინგირისა და ცაცხვის სადგურები ვალდებულებას კისრულობენ 20 დეკემბრისათვის შეასრულონ ვაგონების დატვირთვა-განტვირთვის წლიური გეგმა.

საკნელბრუნვის გეგმას 20 დეკემბრისათვის შეასრულებთ. გეგმის გადამეტებით მოსახლეობას მივყიდით 100 ათასი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელს.

საექსპლოატაციოდ გადავცემთ 10 ახალ მაღაზიასა და სადილხოს. მივიღებთ 55 ათას მანეთ შემოსავალს, დავაწყობთ საბრუნავ საშუალებათა 40 ათას მანეთს.

კიდევ უფრო განვამტკიცებთ სკოლების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ამ მიზნებისათვის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დახარჯავენ 250 ათას მანეთს. საექსპლოატაციოდ გადავცემთ საშუალო სკოლების შენობებს ინგირში, აბასთუმანში, ახალუხახთას და ტყავაიში. მთლიანად ავითვისებთ სახსრებს, რომლებიც გათვალისწინებულია მიმდინარე წელს ზედა ცწერისა და რუხის საშუალო, ჯუმის 8-წლიანი სკოლებისა და რუხის საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის. საზოგადოებრივ საწყისებზე რაიონის 12 სოფელში ვაყმსნით საბავშვო ბაღებს.

ავაშენებთ და საექსპლოატაციოდ გადავცემთ საკლუბო დაწესებულებებს სოფლებში ჭაქვინჯისა და ოქტომბერში, აგრეთვე ბიბლიოთეკებს ცაიშსა და ჭკადუაშში.

32.000 ცალით გავადიდებთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა წიგნის ფონდს. მოვაწყობთ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სტენდებსა და ფოტოგამოფენებს.

კიდევ უფრო აგამაღლებთ რაიონის მხატვრული კოლექტივების სამეცმსრულებლო ოსტატობას, გავაფართოებთ მათს რეპერტუარს. 1971 წლის იანვარში მოვაწყობთ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების რაიონულ დათვალიერებას. დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებს 30 კოლექტივი და 900-ზე მეტი კაცი.

კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ მოსახლეობის კინომომსახურებას.

უფრო ფართოდ გავაჩაღებთ მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას. 1971 წლის 25 თებერვლისათვის მოვამზადებთ მეორე, მესამე და ჭაბუკთა თანრიგის სულ ცოტა 2.400 სპორტსმენს.

ჩვენ კარბად გვესმის, რომ ნებისმიერ ვალდებულებათა შესრულება ადვილი საქმე არ არის, მაგრამ ძალღონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ საქმედ ვაქციოთ პარტიისა და ხალხისათვის მიცემული სიტყვა.

ვალდებულებანი განიხილეს და მიიღეს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების კრებაზე



სიღნაღის რაიონის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი

სიღნაღის რაიონის მშრომელები წლითიწლობით ზრდიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ტემპებს, წარმატებით ასრულებენ სწარმოებში და მშენებლობებზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად მათ ერთხელ კიდევ შეისწავლეს თავიანთი შესაძლებლობანი და რეზერვები, იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

ჩვენ, ნათქვამია ვალდებულებაში, მეცნიერთა რეკომენდაციებსა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის საფუძველზე, გადაუწყვიტეთ მნიშვნელოვნად გავაღიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. მეცხოველეობის ფერმების მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს თვითეულ ძროხაზე მიიღონ გეგმასთან შედარებით 140 კილოგრამით მეტი რძე, თვითეული ცხვრისა მიიღონ 2,5 კილოგრამი მატყლი ნაცვლად 2,3 კილოგრამისა.

სახელმწიფოს მივყიდით 20.260 ტონა ყურძენს გეგმით გათვალისწინებული 18.760 ტონის ნაცვლად. გეგმის გადამეტებით მივყიდით სახელმწიფოს 110 ტონა ხორცს, 50 ათას ცალ კვერცხს, 90 ცენტნერ მატყლს.

ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობა უზრუნველვყოთ სხვადასხვა საკვებით. მიმდინარე წელს დავამზადებთ 25 ათას ტონა უხეშ საკვებს, აქედან 10 ათას ტონა თივას გეგმით გათვალისწინებული 6.555 ტონის ნაცვლად, 54 ათას ტონა სილოსს, ანუ ცხრა ტონას ერთ ძროხაზე, გავაუმჯობესებთ საძოვრებს 2,5 ათას ჰექტარ ფართობზე, შევიტანთ სასუქებს 3 ათას ჰექტარზე, გავაუმჯობესებთ პირუტყვის ჯიშობრივ შემადგენლობას, შევამცირებთ სიბერწეს, გავყოფთ და ძეძულების დაკვლას.

ხუთწლედის უკანასკნელი წლის წარმატებით დამთავრებასთან ერთად ყველა პირობას შევქმნით იმისათვის, რომ 1971 წელი იყოს უფრო პროდუქტიული და უხვმოსავლიანი. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი იქნებიან საჭირო რაოდენობის მაღალკონდიციური თესლით. 25 თებერვლისათვის შეპასრულებთ სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიწოდების 1971 წლის პირველი კვარტალის დავალებებს.

სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა თვითეულ ძროხაზე გეგმის გადამეტებით მიიღოს 300 კილოგრამი რძე, ყოველ ას ძროხაზე გაზარდოს 85 ხბო, თვითეულ ჭიგზე — 14 გოჭი. რძის საერთო წარმოებას მეურნეობა 1969 წელთან შედარებით გაადიდებს 25 პროცენტით, ხორცის და მატყლისა — 10 პროცენტით.

სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის ა. პაპალაშვილის მეცხოველეობის ბრიგადამ, რომელიც უკლის 100 ძროხას, ვალდებულება იკისრა თვითეულ ძროხაზე მიიღოს სავი ათასი კილოგრამი რძე.

სოფელ ჯუგაანის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა სამშოდგომო თავთავიანი კულტურების 1.200 ჰექტარი ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 18 ცენტნერი მარცვლეული და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდოს 150 ტონა მარცვლეული.

ხორცის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა 456 ჰექტარი ჭინახის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 75 ცენტნერი ყურძენი ჯეგმით გათვალისწინებული 48 ცენტნერის ნაცვლად და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდოს 800 ტონა ყურძენი, გააშენოს ახალი ვენახები 10 ჰექტარზე. აქედან „იაბლისურის" ჯიშისა — ოთხ ჰექტარზე. მეურნეობამ გადაწყვიტა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ხარჯების შემცირების გზით სახელმწიფოს მისცეს 250 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადამ (ბრიგადირი ზ. ღვედაშვილი) ვალდებულება იკისრა 35 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 120 ცენტნერი ყურძენი.

მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე კოლმეურნეობებმა „პარიზის კომუნამ", „ლენინის ანდერძმა", ტიბაანის საბჭოთა მეურნეობამ და სხვა მეურნეობებმა.

რაიონის სამრეწველო საწარმოები რეზერვების გამოვლენისა და მათი ამოქმედების, წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების გზით წარმატებით შეასრულებენ დაგალებებს და მიმდინარე წელს გამოუშვებენ 36.591 ათასი მანეთის პროდუქციას ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 32.118 ათასი მანეთისა. მიმდინარე ხუთწლედში გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს ჩაბარდება 9.137 ათასი მანეთის პროდუქცია. 1971 წლის ორი თვის გეგმა შესრულდება 25 თებერვლისათვის.

წნორის მექანიკურმა ქარხანამ ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 25 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოუშვას 35 ათასი მანეთის პროდუქცია. 5 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, შეამციროს წუნი და დანაკარგები, დაზოგოს 50 ათასი კილოვატ-საათი ენერგია და სამი ტონა ფერადი ლითონები. 1971 წლის 24 თებერვლის ქარხანა ფეშქაშებს დაზოგილი.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს წნორის პურის პროდუქტების ბაზამ, ყვედა-კარაჭის ქარხანამ, საკოსპრეო ქარხანამ, სამტრესტის ღვინის ქარხნებმა, სამკერვალო ფაბრიკამ და სხვა საწარმოებმა.

ამჟამად რაიონში შენდება საბაგირო გზა, რომელიც დააკავშირებს სიღნაღსა და წნორს, ტურისტული და კომპლექსური სპორტული ბაზები, რაიონული საავადმყოფო, კულტურის სახლები სოფლებში. ტიბაანსა და ნუკრიანში, საშუალო სკოლის შენობები სოფლებში მოდბისხევში, ნუკრიანში, ხირხასში და ქალაქ წნორში სარაიონთაშორისო კოოპერირებული წყალსადენის მშენებლობაზე შესრულდება სამი მილიონი მანეთის სამუშაოები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში დიდ მუშაობას გაუწევთ სახალხო მეურნეობაში, მეცნიერებაში, კულტურაში ჩვენი რესპუბლიკის მიღწევათა პროპაგანდისათვის. მოეწყობა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ქალაქებსა და სოფლებში გაფართოვდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების — სამკერვალო სახელოსნოების, ფეხსაცმლის შესაკეთებელი სამჭრების, ბანაობების, საპარიკმახეროების ქსელი. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს 1970 წლის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის.

ყოველდღიურ ყურადღებას დაუთმობთ იმას, რომ ბავშვებმა იმეცადინონ თანამდროვე, ნათელ სკოლებში. ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ გავაფართოოთ სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საზოგადოებრივი მეურნეობანი, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ 1970-1971 სასწავლო წლის დამლევისათვის დაამთავრონ სოფელ ბოდბისხევის სამუალო სკოლის, სოფელ ხირხის რვაწლიანი სკოლის, ხოლო 1971-72 სასწავლო წლის დამლევისათვის სოფელ წყვრიანის პირველი საშუალო სკოლისა და სოფელ წნორის მესამე საშუალო სკოლის მშენებლობა. ვაჭრობის მუშაკები იბრძვიან ვაჭრობის მაღალი კულტურისათვის, სავაჭრო ობიექტების ფასადებისა და გიგრინების ღამბაზად გაფორმებისათვის. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ სანიმუშო ეყოს საზოგადოებრივი კვება. მოსახლეობის მოგვიდით 13.680 ათასი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.120 ათასი მანეთისა. საქონელბრუნვის გეგმა შესრულდება 25 დეკემბრისათვის.

კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდება ქალაქები და სოფლები. გათვალისწინებულია კეთილმოვაწყოთ 32 კილომეტრ სიგრძეზე სასოფლო და საუბნო გზები, დავრგოთ 48.500 ხე, ღღის სინათლე გავაყვანოთ 25 კილომეტრ მანძილზე, ავამენოთ 8 სპორტული მოედანი.

გავუმჯობესებთ ტრანსპორტის მუშაობას, გავდიდებთ მგზავრთა გადაყვანასა და სახალხო-სამეურნეო ტვირთების გაფაზიდვას.

ყველაშერს ვიღონებთ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი.

ვალდებულებანი განიხილული და მიღებულია სიღნაღის რაიონის სახალხო მეურნეობის მოწინავეთა შეკრებაზე.



კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-9" განაგრძობს ფრენას

საკადრისის ცნობა

„სოიუზ-9"

მსოფლიო დღეს

ქართული თეატრის წარმატება

ვარშავა, 12 ივნისი. (საკ.სი). უდიდესი წარმატებით ჩაიარა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული თეატრის გასტროლებმა სახალხო კოლონიეთში. სტუმრებმა პოზნანისა და ვარშავის მაყურებლებს გააცნეს თავისი საუკეთესო ნამუშევრები. დღეს საღამოთი ვარშაველები გამოეთხოვნენ შემოქმედებით კოლექტივს, რომელიც მათ შეუყვარდათ. ქართველმა მსახიობებმა გასტროლების დროს უჩვენეს რამდენიმე სცენა სხვადასხვა სპექტაკლიდან, რაც მოწმობს თეატრის ფართო შემოქმედებით დიაპაზონს, მსახიობთა გარდასახვის შესანიშნავ ხელოვნებას, რეჟისორებისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ლენინური პრემიის ლაურეატის სერგო ზაქარიაძის დიდ მომთხოვნელობას რეპერტუარის შერჩევისა და ფორმირების დროს.

გამოსათხოვარი საღამოს პროგრამაში შევიდა ქართული ლიტერატურის ფუძემდებლის შოთა რუსთაველის, თანამედროვე ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებები, ნაწყვეტები შექსპირისა და ბრეხტის პიესებიდან. გაზეთმა „ტრიბუნა ლუდუმ“ აღნიშნა ოსტატური რეჟისურა, მსახიობთა მდიდარი და მრავალფეროვანი ნიჭი. სხვა პოლონური გაზეთები აგრეთვე მაღალ შეფასებას აძლევენ ფართო შემსრულებლობის ოსტატობას. განსაკუთრებით აღინიშნება სერგო ზაქარიაძის ბრწყინვალე რეჟისორული და მსახიობური ნიჭი, რომელიც პოპულარულია პოლონეთში ბევრი კინოფილმის და განსაკუთრებით ფილმ „ჯარისკაცის მამის“ მეოხებით.

კარიზში გაიხსნა საბჭოთა გამოფენა

პარიზი, 13 ივნისი. (საკ.სი). საფრანგეთის დედაქალაქის დიდ საგამოფენო დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა. გამოფენაზე, რომელიც 5 ივლისამდე იმუშავებს, წარმოდგენილია 25 საბჭოთა საგარეო-სავაჭრო გაერთიანება, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი, მთელი რიგი სამინისტროები.

გამოფენის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა რ. ნუნჯესერმა, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა გამოფენას დიდი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

პროვოკაციები ჩაიფუშა

კაირო, 12 ივნისი. (საკ.სი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა გუშინ ჩაფუშეს ისრაელთა ორი ცდა გადაეცილნათ სუეცის არხი მის ჩრდილოეთ სექტორში. ეგვიპტის არტილერიამ და ტანკებმა არხის აღმოსავლეთ ნაპირზე ისრაელთა ძალებს დაუშინეს კონცენტრირებული ცეცხლი და ჩაფუშეს აგრესორის ოპერაცია ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დაიწყებოდა.

შენდება მეტალურგიული კომბინატი

ანკარა, 13 ივნისი. (საკ.სი). ისკენდერ პორტში შემოვიდა საბჭოთა თბომავალი, რომელიც დატვირთულია მეტალურგიული კომბინატისათვის საჭირო ლითონკონსტრუქციებით. კომბინატი შენდება თურქეთში საბჭოთა კავშირის დახმარებით, იუწყება გაზეთი „მილიეთი“.

ეს კომბინატი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ქალაქ ისკენდერუნის რაიონში მდებარეობს, შვიდი საწარმოდან ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც უნდა აშენდეს თურქეთში საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით ორ მეზობელ ქვეყანას შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად.

ეს საწარმოები, და კერძოდ მეტალურგიული კომბინატი, დაეხმარება თურქ ხალხს შექმნას თავის ქვეყანაში ეროვნული მძიმე მრეწველობა.

გაღაჯუნეს მთავრისარღალი

კაირო, 13 ივნისი. (საკ.სი). ომოწმებს რა ამანის რადიოს, გაზეთი „ალ-ახრამი“ იუწყება იორდანიის მეფის ჰუსეინის გადაცხადების შესახებ, რომელშიც მან გამოაცხადა, რომ თანამდებობიდან გადააყენა იორდანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალ-მაიორი ხასენ ბენ ჯმილი, სატანკო დივიზიის მეთაური ზეიდ ბენ შაქირი და ორი სხვა მაღალი თანამდებობის ოფიცერი. მეფემ განაცხადა, რომ თვითონ კისრულობს ქვეყნის შეიარაღებული ძალების სარდლობას.

გაზეთი აღნიშნავს, რომ მეფე ჰუსეინმა განცხადება ამ პირთა გადაყენების შესახებ გააკეთა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციის მოთხოვნის პასუხად, რომლებმაც ამ პირებს დააკისრეს პასუხისმგებლობა იორდანიის არმიის ნაწილებისა და პალესტინის წინააღმდეგობის რაზმების სისხლისმღვრელი შეტაკებებისათვის.

ცვლილებები კამერუნის მთავრობაში

იაუნდე, 13 ივნისი. (საკ.სი). კამერუნის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამადუ ახიჯომ ცვლილებანი შეიტანა ქვეყნის მთავრობის შემადგენლობაში. მთავრობის შემადგენლობაში შეყვანილია 9 ახალი მინისტრი. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია რაიმონ ნ. ტეპე. შეიარაღებული ძალების მინისტრის პოსტზე კვლავ სადუ დაუდი დარჩა.

გერმანელი ესპიონები საქართველოში

თბილისში სამ დღეს იმყოფებოდა სტუმრად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხატვართა კავშირის დელეგაცია. დელეგაციას ხელმძღვანელობდა მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, დრეზდენის უმაღლესი სამხატვრო სკოლის რექტორი გერჰარდ ბონცინი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ მხატვართა კავშირის პირველი მდივანი ჰ. ვაისი, მდივანი ა. ჩოფენი, მოქანდაკეები ფ. ტომი, ე. შამალი, კ. ბარტკე, არქიტექტორი ა. ვაიდპერი.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობები. გაეცნენ ხელოვნების მუზეუმისა და საქართველოს მუზეუმის ექსპოზიციებს. იყვნენ მცხეთაში, სამთავისში, ჯვარზე, კასპის რაიონში. გერმანელ მხატვრებს საინტერესო შეხვედრები ჰქონდათ ქართველ კოლეგებთან — ლადო გუდიაშვილთან, უჩა ჯაფარიძესთან, კობა გურულთან, გაეცნენ დავით კაკაბაძის შემოქმედებას.

ნ. ლოლუა.

სინოპტიკოსები ვარაუდობენ...

10, 11 ივნისს აღმოსავლეთ საქართველოში ისეთი სიგრილე იყო, რომ ბევრი თბილ ტანსაცმელს დაუბრუნდა. რამ გამოიწვია ასეთი აგრილება?

როგორც თბილისის ამინდის ბიუროს სინოპტიკოსები განმარტავენ, საქართველოში შემოჭრა იწყო ცივი, არქტიკული ჰაერის მასებმა, რამაც მოიტანა ხშირი წვიმები და ტემპერატურის დაწევა. 12 ივნისს ისევ გამოიდარა, საგრძნობლად დათბა.

როგორი ამინდი იქნება ამ დღეებში ჩვენს რესპუბლიკაში? დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, აღმოსავლეთის ზომიერი, რაიონის ხეობაში ძლიერი ჭარი, ტემპერატურა ბარში 25-30 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე, ელემენტის ხასიათის წვიმა, ტემპერატურა ბარში 22-27 გრადუსი. თბილისში — უნალექო ამინდი, სუსტი ჭარი, ტემპერატურა 25-27 გრადუსი.

ამინდი

შემთხვევა გზაზე

ავტომანქანა და მგელი

ამ დღეებში ღამით ამბროლაურიდან ონში მიმავალ ავტომანქანა „ვოლგას“ მართავდა მძღოლი მ. ცირკიძე. მოულოდნელად სორის ჭალაში, გზაზე ავტომანქანის შუქზე მძღოლმა მგელს მოჰკრა თვალი. მტაცებელი ავტომანქანის შუქმა დააბნია და ერთ ადგილას გააქვავა. დანარჩენი, როგორც იტყვიან, „ტექნიკის საქმე იყო“... მ. ცირკიძემ ავტომანქანის დაჯახებისაგან გაბრუებულ მგელი ამბროლაურის მონადირეთა კავშირში მიიტანა და სათანადო ჯილდოც მიიღო.

დ. ხახიაშვილი, ა. კერესელიძე.

ბოთლში ჩადებული წერილი

ამ ფოტოსურათზე გამოსახული ბოთლი ჩაიგდო ზღვაში ინგლისელმა მეზღვაურმა ჯონ ბრაუნმა. ბოთლში ჩადებული წერილის მიხედვით, ბრაუნი ატლანტის ოკეანეში მოხვდა გემბანიდან, რომელიც ინგლისიდან ბრაზილიისაკენ მიემართებოდა. ბრაუნი ამ ბოთლით ეძებს ადამიანებს, რომლებიც მას გადაარჩენენ.



თბილისი. ერთ კვირადღეს ვაკის — გამარჯვების სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

ფოტო ს. კილაძისა.

მომავალი შეხვედრა — ურუგვაის ნაკრებთან

მეხიკო, 13 ივნისი. (საკ.სი). ნიკიტა სიმონიანი ჩვენი სპეციალისტებიდან ერთადერთი კაცია, რომელმაც ნახა ურუგვაის ნაკრების ყველა მატჩი მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონატზე. მან მეოთხედფინალში საბჭოთა ფეხბურთელების მეტოქეთა შესახებ უფრო მეტი იცის, ვიდრე რომელიმე სხვამ. სსრ კავშირის ჩემპიონთა — მოსკოვის სპარტაკელთა მწვრთნელი სპეციალურად მიავლინეს პუებლასა და ტოლუკაში, სადაც იმართებოდა მეორე ჯგუფის გუნდების მატჩები, რათა შემდეგ მოთამაშეებისა და მწვრთნელებისათვის წარედგინა ამომწურავი ცნობები ურუგვაელთა საბრძოლო თვისებების შესახებ.

„საკლასო ოთახი“, სადაც ურუგვაის გუნდის თამაშს არჩევდნენ, გახდა ჩრდილიანი მდელო ეროვნული პარკისა, რომელიც ტოლუკის გზატკეცილის გასწვრივ მეხიკოდან 20 კილომეტრზეა გადაშიმული. აქ, 3.000 მეტრ სიმაღლეზე, იყო სიგრილეც და მზეც, ბიჭებმა კარგად დაისვენეს, ისადილეს საკუთარი ხელით მომზადებული მწვადებით, მოისმინეს სიმონიანის ინფორმაცია და ცოტა წაივარჯიშეს.

მეორე ჯგუფში, სადაც გამოდიოდნენ იტალიის, ურუგვაის, შვეიცარისა და ისრაელის ფეხბურთელები (სწორედ ასეთი თანმიმდევრობით დაიკავეს მათ ადგილები), ექვს მატჩში გატანილი იყო მხოლოდ ექვსი ბურთი.

მცირე შედეგიანობა აიხსნება იმით, რომ გუნდები მიმართავდნენ დაცვითს ვარიანტებს. ურუგვაელთა თამაშის ერთ-ერთ მთავარ ხაზად ითვლება ის, რომ ისინი ხშირად ცვლიან ადგილებს. ურუგვაელთა თამაშის ეს ნიშანი ნიკიტა სიმონიანმა ჯერ კიდევ ჯადაუჭრელია ფორვარდთა საუკეთესო ოთხეულის დაკომპლექტების პრობლემა (მოგაგონებთ, რომ თავდამსხმელებს არცერთი ბურთი არ გაუტანიათ). აი ვინ თამაშობდა ურუგვაის ნაკრებში წინ: კუბილია — ტექნიკურად უაღრესად დახვეწილი, სწრაფი მარჯვენა გარემარბი სუბეია, ლასადა, ბარენო და ფონტელი.

ეს ფორვარდები იშვიათად ათამაშებენ ბურთს საჯარიმო მოედანზე და ხშირად ამთავრებენ თამაშს იმით, რომ ჩაჰკიდებენ ხოლმე ბურთს საჯარიმო მოედანზე. ყოველ მათგანს უყვარს ბურთის შორიდან დარტყმა და უნდა ითქვას, რომ მათი დარტყმები საშიშია. ურუგვაის ნაკრების თამაში რადაცით მოგვაგონებს მეჩსიკელთა თამაშს, მაგრამ ურუგვაელები უფრო ძლიერი არიან. მათი გუნდი უფრო ძლიერია როგორც კოლექტივი. ისინი ყველა მატჩში მოქმედებდნენ საკმაოდ რბილად. „მაგრამ ვიცი, თქვა თამაშის გარჩევის ბოლოს სიმონიანმა, რომ ურუგვაელები რთულ სიტუაციაში არ ერიდებიან ძალისმიერ თამაშსაც. მაგრამ ჯერჯერობით მათ არ დასჭირვებიათ მიემართათ უკიდურესი ზომებისათვის“.

მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი თამაშის დროს არბიტრთა მოქრთამვისა და მოსყიდვის შესახებ შემოსული სიგნალების ფართო გამოძიებას. მსაჯთა მოქრთამვაზე მუდმივმა ლაპარაკმა რიუნი აიძულა გამეწარებულიყო პუებლაში, სადაც მიმდინარეობდა შვეიცია-ურუგვაის მატჩი. თამაშის წინ მან გამოიძახა ბრაზილიელი მსაჯი აირტონ დემორაეში და შეეკითხა: „სწორია თუ არა, რომ ერთ-ერთი მხარე შეეხეთქათ 100 ათას პესოს?“ ბრაზილიელს ეწყინა: „მე პატიოსანი კაცი ვარ. თუ თქვენ ეძებთ გეხარებათ ჩემს გულწრფელობაში, სულს ვიღებ ამ მატჩის მსაჯობაზე“. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილება ძალიან არ მოეწონა ურუგვაის დელეგაციის ხელმძღვანელს ოსვე ანტონიო ფერნანდესსაც, რომელმაც ამის გამო განაცხადა: „ჩვენ გამოცდილებით ვიცით, რომ მოსყიდვის წინადადებებს არასდროს აშკარად არ იძლევიან, არამედ სხვა პირების საშუალებით, ამიტომ წინადადება შემომაქვს გაუქმდეს გამოძიება“...

...დიახ, მსაჯობის გამო, ისევე როგორც მსოფლიოს წინა ჩემპიონატებზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ ჟამაგნიც, პრესაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გვწამს, რომ დარჩენილი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მატჩები კორექტულად ჩაივლის. მსაჯები მკაცრად და ობიექტურად შეაფასებენ მათ და ბევრ სასიამოვნო წუთს მანახებენ მილიონობით ფეხბურთის მოყვარულს.

ფინალში გავიდნენ...

ბრძოლება დევისის თასის გათამაშება ჩოგბურთში. როგორც ცნობილია, ჩვენი ჩოგბურთელები გამოდიან ევროპის „ბ“ ზონაში. პირველი დღის შემდეგ ანგარიში იყო 1:1. მეორე დღეს ასპარეზობა ჰქონდათ წყვილებს, დაწინაურდა საბჭოთა გუნდი 2:1. ყველაფერი უნდა გადაწყვეტილა გუშინდელ ერთეულთა შეხვედრებს. მართალია, თ. ლეონოვმა მძაფრ ბრძოლაში წააგო შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელ იან კუკალთან, მაგრამ გადამწყვეტ ასპარეზობაში სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა სძლია იან კოდეშს და ჩვენი ქვეყნის ნაკრებს მორიგი გამარჯვება მოუტანა.

ვ. ვ. კეშელავა

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, სკკპ წევრი 1946 წლიდან, ფოთის ჰიდრომელიორაციის მაგისტრალური ნაწილობასთან შენებლო ქარხნის დირექტორი ვლადიმერ ვიქტორის-ძე კეშელავა. იგი დაიბადა 1911 წელს ქ. სოჭში. 1934 წელს მან დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგ დაინიშნა საბჭოთა მეურნეობა „კოლხიდის“ მშენებლობის უფროსად, სადაც მუშაობდა 1935 წლამდე. 1939-1940 წლებში ვ. კეშელავა ქ. ფოთის მთავარი ინჟინერია, 1940-1942 წლებში კი საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე.

1952 წელს ვ. კეშელავას ირჩევენ ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. შემდეგ მუშაობდა ქ. ფოთის ჰიდრომელიორაციის მანქანათსამშენებლო ქარხნის მთავარ ინჟინრად, ხოლო 1957 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ამავე ქარხნის დირექტორი იყო. მისი უშუალო მონაწილეობით ათვისებულ იქნა სერიული წარმოება მიწის მწერიული დანადგარებისა, რომლებსაც ფართოდ იყენებენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

ვ. კეშელავა იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის წევრი, ფოთის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. პარტიამ და მთავრობამ ჯეროვნად დააფასეს მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

შესანიშნავი მოქალაქისა და სპეციალისტის, თავმდაბალი ადამიანის ვ. კეშელავას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

სხვა გაზეთებიდან

სტალინზე ღა ცსოვრებაში

სენსაციები: ...მეხიკოში ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. ორი გულშემატკივარი შელაპარაკდა. ერთმა აიღო და თქვა, მეჩსიკის გუნდმა ბევრი ვერაფერი გვაჩვენა, თუმცა სალვადორის ნაკრებს მოუგო. სალვადორის გუნდი ძალიან ჰგავდა დიდი ხნის გადამწყვეტულ ღონმონს, რომელიც ხიდან თვითონ ჩამოვარდაო. ამის პასუხად კოლტმა იძრიალა, და გულშემატკივარი, რომელმაც გაბედა გამარჯვებულნი გაეკრიტიკებინა, უსულოდ დაეცა მიწაზე. კიდევ ერთი ტრაგედია გაზეთებიდან შევიტყვეთ. სალვადორში ტელევიზორის ეკრანის წინ თავი მოუკლავს ფეხბურთის მოყვარულ ქალიშვილს, როცა მისი გუნდის კარში მეოთხე ბურთი გაიტანეს...

„ოზვესტია“

□ ა. სტაროსტინი გვატყობინებს მეხიკოდან:

პრესა ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა გუნდის გამარჯვებას. აქ დაწერილია პრიზი ჰქვიან ლომაზი გოლისათვის. ამ პრიზის მიღების ქმენს პრეტენდენტს შორის არის ჩვენი ბიშოვეცი. მან ბელგიელთა კარში გაიტანა მესამე გოლი, რომელიც ერთ-ერთ ოლამაზესად ითვლება. ჟურნალისტები ამბობენ, რომ დღემდე იყო „მეფე“ პელე „პრინცები“ — ტოსტაო და რიველინო, ახლა კი „თავადი“ ასათიანი მეჩმატეო. ჯანჯაფონს კი უწოდებენ „ეშმაკ მალაკს“, რომელმაც ბელგიის გუნდის მწვრთნელს გუტფრუნდს აკობა.

ვითომ ტრიბუნებს, მიტაფორებს, როგორც ზღავარ, მოხდენილს არიგებენ, მაგრამ ჩვენი ბიჭები მათ იერონით უპირებენ.

„სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“.

ახალი ტურის სტარტი

გუშინ სტარტი აიღო ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის მეთორმეტე ტურმა. გაიმართა ერთი შეხვედრა. მოსკოვში პაექრობა ჩვენდათ არმიის ცენტრალური სახაორტო კლუბისა და მინსკის „დინამოს“ გუნდებს. წარმატება არმიელებს ხვდათ. მათ მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 3:1.

დღეს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან დედაქალაქის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ გუნდები, ხოლო ორშაბათს გაიმართება ექვსი მატჩი. თბილისის დინამოელებს გასვლითი თამაში ექნებათ ორჯონიკიძეს „სპარტაკთან“, ხოლო ქუთაისის ტორპედოელები საკუთარ მოედანზე შეხვდებიან მოსკოველ თანაკლუბელებს. დანარჩენ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (კიევი), „შახტიორი“ (დონეცკი) — სკა (დონის როსტოვი), „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ნეფტჩი“ (ბაქო).

მოსწავლეთა სპარტაკიადა

იწყება საქართველოს მოსწავლეთა XXII სპარტაკიადა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უყვარესი მასობრივი ასპარეზობაა და წარმოადგენს მოპოვებულ წარმატებათა და ძალთა დათვალიერებას. ფინალურ ასპარეზობას წინ უძღოდა წინასწარი შეხვედრები, რომლებმაც ცხადყო სპორტის ახალი აღმავლობა, მასობრივობის ზრდა.

მართალია, სპარტაკიადის საზეიმო გახსნა 16 ივნისს მოხდება თბილისის კიროვის სახელობის პარკში, მაგრამ სპარტაკიადის ზოგიერთ სახეობებში ასპარეზობები დღეს იწყება და ივნისის ბოლო რიცხვებამდე გაგრძელდება.

ჟურნალი „კომუნისტის“ ახალი ნომერი

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 15 ივნისს.

რადიო

15 ივნისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული სალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.10 — საბჭოთა ჯგუფების სალხთა სიმღერები, 09.25 — ო. თევდორაძე. ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის და „ქართული სიუიტა“, 11.05 — ა. ალიაბიევი. ნაწყვეტები ოპერა „მთვარიანი ღამიდან“, 11.45 — რუსთველი მუსიკა, 12.10 — საუბარი „მეცნიერებათა თანამეგობრობით“, 12.25 — გლინკა. მუსიკა სიმფონიანი კვარტეტი, რომანსები და სიმღერები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — გ. ცაბაძე. სიმღერები, 15.00 — „ბალადა წყურვილმოკლულ მიწაზე“. უკრაინის რადიოს ჯადმოცემა (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრების ხმები“. ჯადმოცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოჯადმა „ორი მეგობარი“. 18.10 — ქართული სალხური მუსიკის კონცერტი, 18.45 — მ. ფრადკინი. მუსიკა კინოფილმებიდან, 19.00 — საუბარი — „სკკპ ბრძოლა მეცნიერების ჯადმავითარების და ორკესტრისათვის და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ“, 19.15 — პიესები ვიოლონჩელისათვის ო. ჰინდემიტის შესრულებით, 19.45 — სიმღერები ქ. დოლობერიძისა და ი. ზაქაიძის შესრულებით, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — ვერდი. ოპერა „რიგოლეტო“, 22.50 — ბ. ჩაიკოვსკი. პიესები საფორტეპიანო ციკლიდან „წლიწადის დრონი“, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

14 ივნისი

09.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია — ფიზიკაში, 10.30 — საესტრადო კონცერტი (გადმოსცემა მოსკოვიდან), 10.50 — „მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღე“ (გადმოსცემა მოსკოვიდან), 11.00 — მოსკოვური კინოჟურნალი „ობოზრენიე“ (გადმოსცემა მოსკოვიდან), 11.30 — სპორტული გადაცემა მოსკოვიდან, 12.00 — ბიჭებისათვის — ქართული მხატვრული ფილმი — „ორი ოჯახის სიხდუმლოება“ (პირველი და მეორე სერია), 14.30 — კინონარკვევი, 14.50 — „ხმას ძლევს ქვეყანა“ — საკავშირო რეპორტაჟი, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.40 — „კინოაფიშა“, 18.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 19.05 — „კინოპანორამა“. ტატ ჩვენს დიად სამშობლოში“, 19.55 — ქართული ხალხური სიმღერების და ცეკვების კონცერტი, 20.25 — მხატვრული ფილმი — „თავმჯდომარი“. (პირველი სერია), 21.50 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში — მეოთხედფინალები — გფრ-ინგლისი: 23.45 — სსრკ-ურუგვაი (გადმოცემა მეჩსიკიდან), შესვენებისას — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

კინო

14 ივნისი

ოქტომბერი — განთავისუფლება (I, II სერია); ამირანი (საზამთრო). საქართველო (წითელი და მწვანე დარბაზები), ისანი (საზამთრო), გაზაფხული, სპარტაკი, ყოლხიდა, ბათუმი, ვარძია, ბელებანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჰავეავაძის სახელობის კულტურის სახლი, ეკრანი, თბილისი. სპორტი — შევარდნის კვალი; ფილარმონიის ბაღი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — სიუჟეტი ბატარეა მოთხრობისათვის; 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — დავიწყებული ხიდები: ისანი (საზაფხულო) — ერთგული ხელი — ინდიელთა მეგობარი; 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — შეუყვარებულნი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ყოლხიდა (საზაფხულო), ნაძალადევი, თანამგზავრი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი), კომკავშირელი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — სიბრა (I და II სერია); ვერა (საზაფხულო) — კერძი; ყოლმეურნე — ოლაბარაკონ; ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — მგლის ეჭო.

თეატრები

14 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჩვიდმეტთა სამყაროში (დილისთ), დაისი (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ალუდა ქეთელაური, სტუმარმასპინძელი (დღისით), მთვარის მოტაცება (საღამოს სეზონის დახურვა); ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სილვა.

რედაქტორი

დ. მჟავლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99 95 03, 99 03 09. პ/მგ მდივნის — 99-72 80. სამდივნოსი — 99 66 10. განუფიცლებებისი ბარტიული — 99 97 61. პროპაგანდის — 93 22 93. პრეწვილობის — 93 20 84. სოფლის მეურნეობის — 99 52 46. სპორტი 8 შენე ბელობის — 93 14 70. მეცნიერების. უმაღლესი სასწავლებლებისი და ხელოვნების — 93 97 54. ლიტერატურისი და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16 90, სატირისი და ოელე ტონის — 99 60-21, უცხოელ — 95 95 97, წერილების — 99-75-24, ალუსტრაციის—93 28-51.

კომუნისტი

კომუნისტი ინდექს 66443 უე 04302

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

9